ნაბიჯი გამარჯვებისკენ
A STEP TO THE VICTORY

საინფორმაციო ფურცელი
NEWSLETTER
2023-2025

“პირველი ნაბიჯი” არის ორგანიზაცია, რომელიც პრობლემებს შესაძლებლობად აქცევს, მცირე პროგრესს – დიდ გამარჯვებად.
მცირე გამარჯვებები დიდი ცვლილებებისთვის – ჩვენ გვჯერა, რომ პატარ-პატარა, მცირე გამარჯვებებსაც შეუძლია სამყარო შეცვალოს უკეთესობისკენ და ერთი შეხედვით, ვიღაცისთვის მცირე წინსვლა, შესაძლოა, სხვისთვის დიდი გამარჯვების ტოლფასი იყოს. ამიტომ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რათა ყოველდღიურად გადავდგათ თუნდაც ერთი პატარა ნაბიჯი სწორი მიმართულებით, საბოლოო მიზნის მისაღწევად.

მისია

ჩვენი მისიაა, უზრუნველვყოთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების ღირსეული ცხოვრება.

ფასეულობები

ის, რაც გვეხმარება წარმატებული ნაბიჯების გადადგმაში: ღირსება, სიყვარული, თანასწორუფლებიანობა, სიძლიერე

რამდენ ბავშვს, მოზარდს დავეხმარეთ ბოლო 3 წლის განმავლობაში?



„პირველი ნაბიჯი“ –

გამოწვევებით, ძიებით, აღმოჩენითა და კეთილი სიახლეებით აღსავსე 3 წელი

უკანასკნელი სამი წელიც, ისევე, როგორც ჩვენს ორგანიზაციას სჩვევია, “პირველი ნაბიჯისათვის” არაერთი სიახლის დანერგვით გამოირჩეოდა. აღნიშნული სიახლეები აღმოჩნდა პასუხი იმ საჭიროებებზე, რომლებიც ამ დროის განმავლობაში ბავშვებსა და მოზარდებში გაჩნდა.

რამ განაპირობა ეს ცვლილებები, რა გამოცდილებას დაეყრდნო ორგანიზაცია და როგორ უპასუხა მან არსებულ გამოწვევებს?

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციისთვის განახლების და მუდმივი მოდერნიზაციის პროცესი სიახლე არ არის. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე ზრუნვის 27 წლიანი გამოცდილება მუდმივად წინსვლაზე ორიენტირებას ემყარება. რომელიც, თავის მხრივ, “პირველი ნაბიჯის” სერვისის მიმღებთა და მათი ოჯახების ცხორების ხარისხის გაუმჯობესებაზე აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ “პირველი ნაბიჯი”, წლების განმავლობაში, სხვადასხვა ასაკისა და საჭიროების მქონე ბავშვებსა და ოჯახებს სთავაზობდა მრავალფეროვან სერვისებს (ქცევის, მეტყველების, კვების, ფიზიკური, კოგნიტურ-ბიჰევიორული, ჯგუფური, აკადემიური უნარების, სენსორულის, ადრეული განვითარების, ფლორთაიმისა და დენვერის, რთული ქცევის მართვის თერაპიები, პერსონალური ასისტენტის მომსახურება, ბინაზე მოვლა და დღის ცენტრი) პროგრამების უმეტესობამ, დროთა განმავლობაში, განახლება და მოდერნიზაცია მოითხოვა.

იმ ბავშვებში, რომლებიც მოზარდობის ასაკში შევიდნენ, გამოიკვეთა ორი ტიპის გამოწვევა, ერთი მხრივ, სწრაფი წინსვლის

შემთხვევაში, საჭირო გახდა დამატებითი სერვისები, რომელიც უზრუნველყოფდა მოზარდებისთვის მეტი დამოუკიდებლობის, სოციალიზაციისა თუ თვითგამოხატვის ხელშეწყობა. ამასთან, ახალ სერვისებში დასაგეგმი იყო მოზარდებთან გამოყენებული სამუშაო სტრატეგიების ოჯახურ და საგანმანათლებლო გარემოში ინტეგრირება.

ხოლო რიგ შემთხვევებში, განვითარების ნელი დინამიკის მქონე მოზარდებისთვის აღარ იყო მისაღები ერთი ოთახისა და ერთი – ერთზე თერაპიული მუშაობა და მხოლოდ უნარების განვითარებაზე ორიენტირებულობა, არამედ საჭიროებდნენ ახალ და, ამასთან, არაერთ სხვადასხვა პროგრამას, განსხვავებულად მოწყობილ სივრცეებსა და სხვაგვარი, ალტერნატიული კომუნიკაციის სტილს.

ერთ-ერთი მთავარი საჭიროება, რაც გამოცდილებამ გვიჩვენა და სერვისით მოსარგებლე ოჯახებისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად გახდა ცხადი, ეს იყო სხვადასხვა პროგრამის სერვისის ერთ სივრცეში მიღების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გამოწვევა, რომელზე რეაგირების საჭიროებაც დადგა ორგანიზაციაში:

ხშირად, სპეციალისტების გადინება განსაკუთრებულად თვალსაჩინოა და, ამის მიზეზი, შეიძლება იყოს რუტინული საქმიანობა, პროფესიული გადაწვა – სწორედ ამ გამოწვევების შეჯერების შედეგად, „პირველმა ნაბიჯმა“ ახალი პროგრამების დანერგვისას, უმეტესად, შიდა კადრები გადაამზადა, რის შედეგადაც, სპეციალისტები აღიჭურვნენ ახალი უნარებით, ცოდნით, გამოცდილებით. ამ ყველაფერმა კი მნიშვნელოვნად გაზარდა მათი მოტივაცია და ეფექტიანობა.

გამოკვეთილმა ტენდენციებმა მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელებამდე მიგვიყვანა. დაინერგა რამდენიმე “პირველი ნაბიჯისათვის” სრულიად ახალი მიმართულება:

ფსიქოთერაპია (მასში შემავალი არტთერაპიითა და ჯგუფური ფსიქოთერაპიით), ADHD-ს კომპლექსური 4 კომპონენტიანი პროგრამა, სპორტის და კულინარიის წრეები, მუსიკის წრე – თერაპიის ელე-

> “
> სწორედ ამ გამოწვევების შეჯერების შედეგად, „პირველმა ნაბიჯმა“ ახალი პროგრამების დანერგვისას, უმეტესად, შიდა კადრები გადაამზადა

მენტებით. ამასთან, დაინერგა ალტერნატიული კომუნიკაციის მიდგომა – ყველა ტიპის თერაპიაში.

სიახლეებმა, ბავშვებთან მიმართებაში, განსაკუთრებით, მოტივაციაზე იმუშავა დადებითად – საჭიროების შესაბამისი სერვისის მიწოდებით, გაიზარდა ბავშვის თერაპიულ პროცესში ჩართულობა. ხოლო ალტერნატიული კომუნიკაციის ყველა დონეზე, ყველა სერვისში ჩაშენებამ, მოგვცა გამომწვევი ქცევის შემცირება, მისი დამსახურებით, ბავშვებს ბევრად უკეთ შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი საჭიროებები და სურვილები, მათთვის გამარტივებული გზით. სპეციალისტებსა და ოჯახებსაც უკეთ ესმით ბავშვების, რომელთაც აქვთ მწირი ვერბალური კომუნიკაციის უნარი.

ახალმა მიმართულებებმა ოჯახებს საშუალება მისცა, უკეთ დაენახათ ბავშვების ძლიერი მხარეები, აღიქვეს მათი შესაძლებლობები, გააცნობიერეს გასაუმჯობესებელი მხარეების მართვის სტრატეგიები, აღიქვეს შესაძლებლობებისა და გამოწვევების ბალანსის არსი.

ბავშვის ასაკის მატებასა და პროგრესთან ერთად, უსაფრთხოების გათვალისწინებით, ოჯახებს გაუჩნდათ მოთხოვნილება, მეტი დამოუკიდებლობის საშუალება მისცენ შვილებს.

ბავშვის მხრიდან ორმხრივი კომუნიკაციის გაუმჯობესების ხარჯზე, გაიზარდა ოჯახის ცხოვრების ხარისხით კმაყოფილება.

ცვლილებებმა ხელი შეუწყო მრავალწლიანი თანამშრომლების შენარჩუნებას: სპეციალისტებს მიეცათ შესაძლებლობა, ორგანიზაციაშივე გამოეყენებინათ პროფესიული განვითარების შედეგად, წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნა, ხოლო სამუშაო პროფილის ცვლილებით, გადახალისდა თავად სამუშაო პროცესი.

ორგანიზაციის დონეზე ცვლილებებმა მოგვიტანა მეტი ინკლუზიურობა, საერთო ხედვის ჩამოყალიბება და იმ იდეის გამყარება, რომ თუ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი უმთავრესი ღირებულება, დავრჩეთ ბავშვებისა და ოჯახების ერთგულ მხარდამჭერებად, უნდა ვუსმენდეთ მათ და მაქსიმალური ძალისხმევით შევეცადოთ მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

თამარ ნოზაძე

„პირველი ნაბიჯის“
პროგრამების ხელმძღვანელი

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი,
განათლების ადმინისტრირების მაგისტრი

„ორგანიზაციაში პირველად 14 წლის წინ მოვხვდი ჯერ კიდევ სტუდენტი, როცა საპილოტედ იწყებოდა ადრეული განვითარების პროგრამა. მაშინ ორგანიზაცია საკმაოდ პატარა იყო და სულ რამდენიმე პროგრამით ფუნქციონირებდა. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, ბევრს ვსწავლობდით, ვშრომობდით, ვთარგმნიდით, ყველა ცოდნას, რეკომენდაციას ვისრუტავდით უცხოელი კოლეგებისგან, რესურსების სიმწირის გამო, ჩვენი ხელით ვქმნიდით ადაპტაციებს და ვცდიდით ოჯახებთან, აღსავსეები ვიყავით იდეებითა და მონდომებით, იმისთვის, რომ რეალური ცვლილება შეგვეტანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაში.

ადრეული განვითარების პროგრამის სახელმწიფო დონეზე დანერგვამ და საქართველოს მასშტაბით გავრცელებამ სპეციალისტების რაოდენობის გაზრდის საჭიროება მოიტანა, რომელთაც სჭირდებოდათ კოორდინირება და პროფესიული სუპერვიზია. ამ დროს, მომიწია გუნდებთან კოორდინატორად და სუპერვაიზორად მუშაობა, ეს იყო დრო, როცა განვვითარდი გუნდის როგორც პროფესიულად გაზრდაში, ასევე სპეციალისტებთან პოზიტიურ

> ამ საქმეში 12 წელმა უცებ გაირბინა, ყველა წელი იყო საინტერესო და გამომწვევით აღსავსე.

კომუნიკაციაში, დავინახე, რომ ხელმძღვანელობა მხოლოდ დავალებების გადანაწილება არ არის. ეს არის ადამიანების გაგება, მხარდაჭერა, ნდობა. ამ გამოცდილებამ მაჩვენა, როგორ შეიძლება გუნდის ერთობლივმა მუშაობამ პოზიტიური გავლენა იქონიოს სისტემურ პროცესებზე.

ამავე პერიოდში, ჩვენი ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დანერგა ოკუპაციური თერაპევტის მუშაობა სენსორული ინტეგრაციის მიმართულებით სპეციალურად აღჭურვილ სენსორულ ოთახში და მე, როგორც ოკუპაციური თერაპევტი, ვიყენებდი ყველა ჩემს ცოდნასა და რესურსს, სენსორული საჭიროებების მქონე ბავშვებთან, შეფასებისა და მუშაობის დროს.

ქცევის გამოყენებითი ანალიზის სახელმწიფო პროგრამად ჩამოყალიბების შემდეგ, მასზე მუშაობამ მომიტანა ის სიღრმისეული ხედვა, რომელიც საჭირო იყო აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობის ყველა დისციპლინაში. ამ დროს გავეცანი ყველა თანამედროვე მიდგომას ამ მიმართულებით, შევისწავლე ბავშვის განვითარების კანონზომიერება და დარღვევის მახასიათებლები, რამაც მომცა შესაძლებლობა, კვალიფიციური კონსულტაციები გამეწია ოჯახებისათვის.

ამ საქმეში 12 წელმა უცებ გაირბინა, ყველა წელი იყო საინტერესო და გამომწვევით აღსავსე. როგორც თერაპევტის, ისე სუპერვაიზორისა და კოორდინატორის პერსპექტივიდან, ამ წლების განმავლობაში, ვისწავლე მოთმინება, მოსმენა, მხარდაჭერა არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ – მოქმედებით.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ტიპის მენეჯერული გამოცდილება არ მქონია, 3 წლის წინ დავდექი ახალი გამოწვევის წინაშე, რომ ჩემს თავზე ამეღო პროგრამების ხელმძღვანელობა, მიუხედავად მრავალფეროვანი გამოცდილებებისა, რთულად მესახებოდა ასეთი პასუხისმგებლობის აღება, თუმცა, ვფიქრობ, ჩემი მხრიდან პოზიტიური კომუნიკაცია და თანმიმდევრულობა მეხმარება თანამშრომლებთან ღირსეულ ურთიერთობაში და ოჯახებისთვის სტრატეგიული მომსახურებების განსაზღვრაში.

მცირე დროში, ორგანიზაციაში უამრავი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა. მსურს, რომ მომავალშიც, „პირველმა ნაბიჯმა“: განვითარების ეს ტემპი შეინარჩუნოს და ჩვენი ორგანიზაცია დარჩეს იმ სივრცედ, სადაც ადამიანები იზრდებიან – პროფესიულად და პიროვნულად, დარჩეს ორგანიზაციად, სადაც სითბო, მხარდაჭერა და განვითარება ყოველდღიური რეალობაა ბავშვებისა და ოჯახებისთვის და არა მხოლოდ სიტყვები დოკუმენტში.

მარიამ გახუტიშვილი

„პირველი ნაბიჯის“ დღის ცენტრის და ბინაზე მოვლის პროგრამების ხელმძღვანელი, ADHD-ს პროგრამის კოორდინატორი

კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ფსიქოთერაპევტი

კლინიკური ფსიქოლოგის პროფესიით 13 წელია ვემსახურები სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს.

„პირველ ნაბიჯთან“ ურთიერთობის ისტორია შვიდი წლის წინ დაიწყო – იმ პერიოდში, როცა ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმის დანახვამ, თუ როგორ ცვლის სპეციალისტების გუნდური მუშაობა და პროფესიონალიზმი თითოეული ბავშვისა თუ ოჯახის ცხოვრებას. სწორედ აქ გაჩნდა შანსი, რომ მემუშავა მულტიდისციპლინურ გუნდში განვითარების პედიატრთან, ფსიქიატრთან, ოკუპაციურ, მეტყველების თერაპევტსა თუ სოციალური მუშაობის სპეციალისტთან ერთად.

გუნდში მუშაობის ეფექტიანობა ყველაზე კარგად ჩანს “პირველი ნაბიჯის” დღის ცენტრისა და ბინაზე მოვლის პროგრამებში. ორივე მათგანი დიდი ისტორიისა და გამოცდილების მქონე სერვისია, უამრავი კმაყოფილი ბავშვითა და ოჯახით. დღის ცენტრი და ბინაზე მოვლის პროგრამა, ხშირად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსარგებლე ბავშვების ცხოვრებაში.

ამ წლების განმავლობაში, ჩემი სამსახურეობრივი პოზიცია მრავალფეროვანი იყო. დავიწყე როგორც სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა, შემდეგ ვიყავი სკოლის ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კონსულტანტი და ტრენერი. დღეს ვხელმძღვანელობ “პირველი ნაბიჯის” დღის ცენტრისა და ბინაზე მოვლის პროგრამებს, ვარ ამავე ორგანიზაციის კონსულტირებისა და თერაპიის პროგრამების ფსიქოთერაპევტი, და ასევე “პირველ ნაბიჯში” ADHD მრავალხმრივი მხარდაჭერის მოდელის დანერგვის ინიციატორი და კოორდინატორი.

ვგრძნობ ღრმა თანხვედრას ორგანიზაციის განვითარების კონცეფციასა და მისიის მიმართ, რაც ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

„პირველი ნაბიჯი“ მხოლოდ სამუშაო ადგილი არ არის – ეს არის სივრცე, სადაც ყოველდღე ვხედავ, როგორ იზრდება შესაძლებლობა თითოეული ბავშვისთვის იქ, სადაც ოდესღაც მხოლოდ სირთულეები ჩანდა.

ამ ორგანიზაციაში მუშაობა ჩემთვის ნიშნავს, ვიყო ცვლილების თანამონაწილე – არა მხოლოდ ბავშვების ცხოვრებაში, არამედ მთელი სისტემის, რომელიც მიმღებლობით, ღიად და ინკლუზიურად ყალიბდება.

“ ვგრძნობ ღრმა თანხვედრას ორგანიზაციის განვითარების კონცეფციასა და მისიის მიმართ, რაც ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ახალი პროგრამები, მიმართულებები და მიდგომები

ADHD-ს მრავალმხრივი მხარდაჭერის პროგრამა

არაერთი სპეციალისტის პრაქტიკული გამოცდილებით, დადგა მოცემულობა, რომ ADHD დიაგნოზის მქონე ბავშვების მხარდაჭერა "პირველ ნაბიჯში" უნდა ყოფილიყო კომპლექსური, მრავალმხრივი პროცესი. ასე დაიბადა „ADHD მრავალმხრივი მხარდაჭერის" კონცეფცია – პროგრამა, რომელიც აერთიანებს ბავშვის, ოჯახის და საგანმანათლებლო გარემოში წარმოქმნილ საჭიროებებს.

მიმართულება განკუთვნილია 5-18 წლის ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ADHD დიაგნოზი და ხშირად სხვა თანმხლები სირთულეებიც.

მომსახურება შედგება ოთხი ურთიერთდამხმარე კომპონენტისგან, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად ქმნიან ბავშვისთვის სტაბილურ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას:

- **ფსიქოთერაპია** – ფსიქო-ემოციურ სირთულეებთან გამკლავების გზების აღმოჩენისა და გაძლიერებისთვის.
- **კოგნიტური და აკადემიური უნარების თერაპია –** მიზნად ისახავს ბავშვის სასწავლო და შემეცნებითი უნარების განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება მის თვითშეფასებასა და წარმატების განცდაზე.
- **ოჯახის გაძლიერება და ფსიქოგანათლება –** კონსულტირება მშობლებისთვის, რომ მეტად გაიგონ ბავშვის მდგომარეობა და მისი საჭიროებები და შემდეგ უკეთ შეძლონ მხარდაჭერა ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- **სკოლასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და განათლების ხარისხის ხელშეწყობა –** მუშაობა პედაგოგებთან და სასკოლო გუნდთან, იმისათვის, რომ ბავშვისთვის შეიქმნას თანმიმდევრულობაზე ორიენტირებული, მხარდამჭერი სასწავლო გარემო.

ამ ოთხი კომპონენტის ერთიანად განხორციელება საშუალებას იძლევა, ბავშვის გარშემო შეიქმნას წრე – სადაც მშობელი, თერაპევტი და სკოლა ერთ ენაზე საუბრობენ და იქმნება ერთგვარი ბალანსი.

> მშობელი, თერაპევტი და სკოლა ერთ ენაზე საუბრობენ და იქმნება ერთგვარი ბალანსი.

ფსიქოთერაპიის სერვისი „პირველ ნაბიჯში“ – ახალი ეტაპი 27-წლიანი გამოცდილების ფარგლებში

> ბოლო წლებში, განსაკუთრებული წინსვლა ფსიქოთერაპიის სერვისის განვითარებას უკავშირდება

„პირველი ნაბიჯი“ უკვე 27 წელია ემსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს. ამ ხნის განმავლობაში, ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუდამ იყო პროფესიული, ეთიკური და ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა და შექმნა. ბოლო წლებში, განსაკუთრებული წინსვლა ფსიქოთერაპიის სერვისის განვითარებას უკავშირდება – მიმართულებას, რომელიც დღეს უკვე ერთ-ერთ მთავარ სიახლედ და ძლიერ კომპონენტად იქცა ორგანიზაციაში.

ფსიქოთერაპიის სერვისი „პირველ ნაბიჯში“ 2021 წელს შეიქმნა მხოლოდ ორი ფსიქოთერაპევტის ჩართულობით. მაშინ ეს იყო პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რადგან პანდემიის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ბავშვების ემოციური რეგულაციის, ქცევითი სირთულეების, შფოთვისა და სოციალური ადაპტაციის გამოწვევები. მზარდმა საჭიროებებმა ორგანულად გამოიწვია სერვისის გაძლიერება – დღეს კი უკვე შვიდი ფსიქოთერაპევტი და სერვისის კოორდინატორი ემსახურება ბავშვებსა და მოზარდებს. პროფესიული გუნდი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებას: გეშტალტთერაპიას, ემოციებზე ორიენტირებულ თერაპიას, დინამიკურ მიდგომას, შემოქმედებით ტექნიკებს, არტ-თერაპიას და კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის მიმართულების სპეციალისტებს, რაც სერვისს მრავალგანზომილებინ, ჰოლისტურ და კიდევ უფრო ინტეგრირებულ ხასიათს ანიჭებს.



ფსიქოთერაპია ბავშვებსა და მოზარდებს აძლევს უსაფრთხო გარემოს, სადაც შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აზრები და ემოციები, გააცნობიერონ ქცევითი რეაქციები, განივითარონ კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობებისთვის საჭირო სოციალური უნარები, გავარჯიშდნენ და შეძლონ საკუთარი ძლიერი მხარეების

გამოყენებით, გადაჭრან მათ წინაშე არსებული ყოველდღიური სირთულეები, რომლებთანაც დამოუკიდებლად გამკლავება ხშირად რთულია. მხარდაჭერა მნიშვნელოვანია როგორც აშკარა ემოციური და ქცევითი სირთულეების დროს, ისე მაშინ, როდესაც ბავშვი ან მოზარდი გადის ცვლილებებს, სტრესს, განიცდის შფოთვას, გაურკვევლობას, ან უბრალოდ სჭირდება ადგილი, სადაც შეძლებს საკუთარი თავის უკეთ გაცნობას. ამ პროცესში, ფსიქოთერაპია არა მხოლოდ პრობლემაზე მუშაობას, არამედ ბავშვის განვითარების პროცესს, ემოციური მდგრადობისა და სოციალური ფუნქციონირების გაძლიერების მიზანს ემსახურება.

ინდივიდუალური ფსიქოთერაპია

ინდივიდუალური თერაპია დღეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სერვისია „პირველ ნაბიჯში“. პროცესი ემყარება ემოციურ უსაფრთხოებას, ნდობის ეტაპობრივ ჩამოყალიბებასა და იმ თემების გაცნობიერებას, რომლებიც ბავშვებისთვის, ხშირად, სიტყვებითაც კი რთული ასახსნელია.

ინდივიდუალური მუშაობის შედეგად:

- უმჯობესდება ემოციური თვითრეგულაცია;
- ფორმირდება ან ძლიერდება შფოთვის, შიშების, აგრესიის, დაბნეულობისა და სტრესის მართვის უნარები;
- იზრდება თვითშეფასება და თავდაჯერებულობა;
- უმჯობესდება ადაპტაცია სოციალურ და საგანმანათლებლო გარემოში;
- ხდება ტრავმული გამოცდილებების დამუშავება.

სერვისის ზრდამ შესაძლებელი გახადა უფრო მეტი ბავშვის მიღება და საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტთან გადამისამართება.

ჯგუფური პროცესი ამდიდრებს ბავშვების სოციალურ გამოცდილებას, ამცირებს ბულინგით გამოწვეულ სტრესს, ხელს უწყობს ემოციური რეგულაციის უნარების გამომუშავებას...

ჯგუფური ფსიქოთერაპია

ჯგუფური თერაპიის სერვისი პირველად 2021–2022 წლებში დაინერგა, როგორც პილოტური ფორმატი. მაშინ ჯგუფები მცირე პერიოდით ფუნქციონირებდა, თუმცა დაგვანახა მნიშვნელოვანი შედეგები: ბავშვებმა ჯგუფურ ურთიერთობაში დაიწყეს საკუთარ ემოციებთან უკეთესი კონტაქტი, სოციალურ სივრცეში მოქცევის, ასერტული ქცევის პატერნები და სხვისი პერსპექტივის ამოცნობა. სწორედ ამ გამოცდილებამ შექმნა საფუძველი დღევანდელი, უკვე სტაბილური და გაფართოებული სერვისისთვის.

2024 წლის ოქტომბრიდან ჯგუფური ფსიქოთერაპია გაძლიერებულად და სრულად სტრუქტურირებული ფორმით მუშაობს. ამ ეტაპზე ჯგუფები ტარდება მხოლოდ დიღმის ფილიალში, თუმცა ორგანიზაცია გეგმავს მათ დანერგვას ისნისა და რუსთავის ფილიალებშიც. ჯგუფები ფორმირდება 8+ ასაკის ბავშვებისთვის და ითვალისწინებს მათ განვითარების საფეხურს, კოგნიტურ/კომუნიკაციურ შესაძლებლობებსა და საერთო მიზნებს, რომლებზეც მუშაობა სურთ.

ჯგუფური პროცესი ამდიდრებს ბავშვების სოციალურ გამოცდილებას, ამცირებს ბულინგით გამოწვეულ სტრესს, ხელს უწყობს ემოციური რეგულაციის უნარების გამომუშავებას, აძლიერებს პიროვნულად, ზრდის თვითშეფასებას და აძლევს საშუალებას, საკუთარი ისტორია სხვების მხარდაჭერით უფრო უსაფრთხოდ და თავისუფლად გააზიარონ. ჯგუფური ფორმატი ასევე ავითარებს თანამშრომლობით უნარებს, პრობლემის ერთობლივი გადაჭრის გამოცდილებასა და სხვისი ხედვის გათვალისწინების შესაძლებლობას.

არტ-თერაპია – შემოქმედებითი მხარდაჭერის სივრცე

არტ-თერაპიის სერვისი 2025 წლის მარტიდან ხელმისაწვდომია როგორც დიღმის, ისე ისნის ფილიალებში და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ ინიციატივას ორგანიზაციაში.

სერვისი განკუთვნილია როგორც ტიპური განვითარების, ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ასევე გვაქვს მშობლების ჯგუფური არტ-თერაპიის სესიებიც. სადაც, მშობლები არტ-თერაპიული ტექნიკების დახმარებით თავიანთ ემოციებსა და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. სხვადახვა მხრიდან უყურებენ ცხოვრებისეულ სირთულეებს.

„პირველ ნაბიჯში“, არტ-თერაპიაში ვიყენებთ ხატვას, ძერწვას, ქვიშით თერაპიასა და მეტაფორულ ბარათებს. ამ არტ-თერაპიული ტექნიკების საშუალებით, ბავშვები გამოხატავენ ემოციებს, ივითარებენ შემოქმედებით უნარებს, უმჯობესდება ნატიფი მოტორიკა, თვალისა და ხელის კოორდინაცია. მცირდება სტრესი და შფოთვა. ბავშვი ეძებს და სწავლობს პრობლემის გადაჭრის კრეატიულ მეთოდებს.

არტთერაპიის სესია ჩემთვის იყო ის სასიამოვნო პროცესი, რომელმაც ერთი მხრივ, წარსულში მამოგზაურა და მეორე მხრივ, სიმშვიდე მომიტანა. სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდი, დროებით დამავიწყა რუტინა, სიჩქარე. დამაფიქრა ისეთ რაღაცებზე, რაზე ფიქრის დროც ხშირად არ გვაქვს ადამიანებს.” – ნინო ახვლედიანი, “არტთერაპია უფროსებისათვის” სესიის მონაწილე.

არტ-თერაპიის პროცესში ვითარდება წარმოსახვა და სიმბოლური აზროვნება. განსაკუთრებით სასურველია ისეთი ბავშვებისთვის, ვისაც აქვთ მეტყველების, ქცევისა და სენსორული სირთულეები.

პროფესიული სტანდარტი და ინტერვიზიები

ფსიქოთერაპიის გუნდი რეგულარულად მონაწილეობს პროფესიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. თვეში ორჯერ ტარდება ინტერვიზიები, სადაც განიხილება ქეისები, ტარდება თეორიული და პრაქტიკული ვორქშოფები, ხდება საერთო პროფესიული ხედვის ჩამოყალიბება და ეთიკურ საკითხებზე მუშაობა.

ასევე, გუნდის თითოეული წევრი იღებს პირად სუპერვიზიას და პერიოდულად ესწრება და/ან პარალელურად ჩართულია პროფესიული ტრენინგებისა და ვორქშოფების ფორმატის შეხვედრებში. ეს პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულ ბავშვს ჰყავდეს არა მხოლოდ თერაპევტი, არამედ გუნდი, რომელიც მის კეთილდღეობაზე იზრუნებს.

უკვე მესამე წელია, „პირველ ნაბიჯში“ ხორციელდება ყოველდღიური ცხოვრების უნარების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: სპორტი, კულინარია და მუსიკა.

სპორტისა და კულინარიის მიმართულებები უკვე დამკვიდრდა როგორც მაღალი ჩართულობისა და მოტივაციის მაგალითი, სადაც ბავშვები პრაქტიკულად სწავლობენ სოციალურ, კომუნიკაციურ და თვითდახმარების უნარებს.

წელს, პროგრამას დაემატა ახალი მიმართულება – მუსიკის წრე – თერაპიული ელემენტებით, რაც კიდევ დამატებით აფართოებს შესაძლებლობებს, ემოციური რეგულაციისა და თვითგამოხატვის განვითარებისთვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შედეგები ბავშვებში, რომლებსაც აქვთ სენსორული სირთულეები და მუდმივად საჭიროებენ სტიმულაციას – მათ სწორედ ამ გარემოში შეძლეს ისეთი სტიმულების მიღება, რომლებიც არა მხოლოდ სასიამოვნო, არამედ ფუნქციურად სასარგებლოც აღმოჩნდა.

დღეს ეს პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირებულ, მრავალფეროვან და ხალისიან პროცესს – სადაც თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, განვითარდეს არა მხოლოდ თერაპიის დროს, არამედ რეალურ, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში.

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია

კომუნიკაცია – ყველა ბავშვის უფლება

„პირველი ნაბიჯი“ აქტიურად იყენებს ალტერნატიული და აუგმენტური (ააკ) კომუნიკაციის სისტემებს – სხვადასხვა თერაპიულ სერვისში.

2023 წლიდან საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ააკ დაინერგა იმ ბავშვებისთვის კომუნიკაციის გზების შესათავაზებლად, ვისაც ზეპირი მეტყველება არ ჰქონდა განვითარებული. პროგრამის მთავარი მიზანი იყო ყველა ბავშვს ჰქონოდა კომუნიკაციის შესაძლებლობა, მიუხედავად დიაგნოზის, ენობრივი განვითარებისა და საკომუნიკაციო შესაძლებლობებისა.

აუგმენტური კომუნიკაცია (ააკ) წარმატებით არის ინტეგრირებული „პირველი ნაბიჯის“ დღის ცენტრის საქმიანობაშიც. დღის ცენტრში ააკ გამოიყენება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ინტერვენციისას, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას, მათი უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად.

დღის ცენტრში ააკ გამოიყენება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ინტერვენციისას, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას, მათი უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად. სპეციალისტთა მულტიდისციპლინური გუნდი აქტიურად იყენებს ააკ სტრატეგიებს ბავშვების ფუნქციური კომუნიკაციის, სოციალური ჩართულობისა და დამოუკიდებელი მოქმედების უნარების გასაძლიერებლად, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ საერთო განვითარებას და ხარისხიანი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ააკ-ისადმი მიძღვნილი
კონფერენცია 19 დეკემბერი, 2025.

რა არის ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია?

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია (ააკ) – ეს არის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება ადამიანებს კომუნიკაციისთვის საჭირო გზების პოვნაში. საერთაშორისო ლიტერატურის მიხედვით, ააკ მოიცავს როგორც დაბალტექნოლოგიურ (მაგალითად, საკომუნიკაციო დაფები, ფოტოები, ჟესტები), ასევე მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებს — მეტყველების მაგენერირებელ სისტემებს, ტაბლეტებსა და თვალით მართვად მოწყობილობებს (Beukelman & Mirenda, 2013; Light & McNaughton, 2012). ისტორიულად, ააკ თავდაპირველად, განიხილებოდა როგორც „უკანასკნელი საშუალება“ მათთვის, ვინც ვერ ლაპარაკობდა ტრადიციული გზით, თუმცა, თანამედროვე მიდგომებმა ეს შეხედულება სრულიად შეცვალა. დღეს ცნობილია, რომ ააკ არ ანაცვლებს მეტყველებას, ის აძლიერებს და ავითარებს მას, ხელს უწყობს ბავშვის კომუნიკაციურ დამოუკიდებლობასა და სოციალური ჩართულობის ზრდას (Millar et al., 2006; Light & Drager, 2007).

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ააკ სისტემების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბავშვების კომუნიკაციის უნარები, ბავშვების მოთხოვნის ფუნქცია, გაზარდა კომუნიკაციის ინიციატივა და გააძლიერა ემოციური თვითრეგულაცია.

მშობელთა და სპეციალისტთა დაკვირვებით, ბავშვებმა დაიწყეს ახალი სიტყვებისა და სიმბოლოების გამოყენება დამოუკიდებლადაც – რაც მიანიშნებს, რომ ინტერვენცია ხელს უწყობს არა მხოლოდ რეაქციას, არამედ თავდაპირველი კომუნიკაციის ინიცირებასაც.

> მშობელთა და სპეციალისტთა დაკვირვებით, ბავშვებმა დაიწყეს ახალი სიტყვებისა და სიმბოლოების გამოყენება დამოუკიდებლადაც



ქცევითი თერაპევტი:

„ააკ-ის ინტეგრირებამ მთლიანად შეცვალა არა მხოლოდ მუშაობის პროცესი, არამედ მთელი სამუშაო ფილოსოფია. წლების განმავლობაში, მქონდა განცდა, რომ რაღაც გვაკლდა. როცა დავიწყეთ ააკ სისტემურად, შეიცვალა ბავშვების ემოციური სირთულე, შემცირდა ქცევითი პრობლემები და გაიზარდა ჩვენი მოტივაციაც. ბავშვები გახდნენ ბედნიერები, ჩვენ – უფრო კრეატიულები.“

ენისა და მეტყველების თერაპევტი:

„ააკ არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური საშუალება – ეს არის გზა, რომ ბავშვმა შეძლოს საკუთარი არსებობის, ემოციისა და არჩევანის გაზიარება მაშინაც კი, როცა სამეტყველო ბგერა არ არსებობს.

ააკ ცვლის არა ბავშვს, არამედ გარემოს მის გარშემო - გვასწავლის მოსმენას იმ ფორმითაც, სადაც თითქოს სიჩუმეა, მაგრამ სინამდვილეში, ყოველი ჟესტი და სიმბოლო ხდება ხიდი ურთიერთგაგებამდე.“

ქცევითი თერაპევტი:

„ალტერნატიულმა კომუნიკაციამ დამანახა, რომ ყველა ბავშვს შეუძლია კომუნიკაცია. არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა ბავშვმა პირველად მითხრა, რომ დასვენება უნდოდა - მე და დედამისი ვტიროდით სიხარულით. ეს მომენტი მთელ პროფესიულ ცხოვრებას აზრს აძლევს.“

გამოცდილება და ემოცია

პროგრამაში ჩართული სპეციალისტების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ააკ მხოლოდ ტექნიკური მეთოდი კი არა, ფილოსოფიური ხედვაა, რომელიც ცვლის მუშაობის კულტურას.

შედეგები და პერსპექტივა

პროგრამის მიმდინარეობისას, ბავშვებმა დაიწყეს მოთხოვნების ფორმულირება, არჩევანის გამოხატვა და ემოციების გაზიარება – ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ადრე მხოლოდ ტირილით ან ქცევით გამოხატავდნენ საჭიროებებს.

გაუმჯობესდა მათი ქცევითი რეგულაცია, კონტაქტის ინიციატივა და საერთო ჩართულობა.

სპეციალისტების შეფასებით, ააკ-მ რეალურად შეცვალა ურთიერთობების ხარისხი ბავშვებსა და თერაპევტებს შორის.

საპილოტე პროგრამის წარმატებამ საფუძველი დაუდო უფრო ფართო კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობას – 2025 წლიდან პროგრამაში უკვე 80-მდე ახალი ბავშვია ჩართული. რაც მთავარია, ააკ ინტეგრირებულია ყველა მიმდინარე სერვისში, რომელსაც ახორციელებს “პირველი ნაბიჯი” თანმიმდევრულად და წარმატებულად.



ყოველდღიური უნარების განვითარებაზე მუშაობის სერვისი

ასაკის მატებასთან ერთად, უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პიროვნების დამოუკიდებლად ფუნქციონირება, იმ საქმიანობების შესრულებისას, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამ უნარების განვითარებაზე ორიენტირით, 2025 წლის სექტემბრიდან, დაინერგა პირველ ნაბიჯში სერვისი „ყოველდღიური უნარების განვითარებაზე მუშაობა”.

აღნიშნულ სერვისს ოკუპაციური თერაპევტი უძღვება და ის განკუთვნილია 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის, მათთვის, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას, ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმიანობების დამოუკიდებელ შესრულებაში. ასეთი შეიძლება იყოს:

თვითმოვლის საქმიანობები

ხელ-პირის დაბანა, კბილების გახეხვა, ტუალეტის უნარების განვითარება, ჩაცმა-გახდა და ა.შ...;

პროდუქტული საქმიანობები

საკუთარი ნივთების მოწესრიგება, დალაგება, ჭურჭლის რეცხვა, საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის რეცხვა-დაკეცვა, მაღაზიაში პროდუქტების შეძენა და სხვა...

მოცალეობითი აქტივობები

ჰობი – გაფერადება, მუსიკის მოსმენა, ცეკვა...



> თერაპევტი და ბავშვის ოჯახის წევრები ერთობლივად ადგენენ ასაკის შესაბამის, ინდივიდუალურ, საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო გეგმას

თერაპევტი და ბავშვის ოჯახის წევრები ერთობლივად ადგენენ ასაკის შესაბამის, ინდივიდუალურ, საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო გეგმას, რომელიც უნდა განხორციელდეს, როგორც სპეციალურად მოწყობილ თერაპიულ სივრცეში, ასევე ბავშვის ბუნებრივ გარემოში.

ეს სერვისი, ბავშვებსა და მოზარდებს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ ყოველდღიურ საქმიანობებში, მაქსიმალურად დამოუკიდებლად, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც ხელისშემწყობია ახალი როლების შეძენისა და თვითშეფასების ამაღლებისთვის.

ახალმა სამუშაო მიმართულებამ დადებითი გავლენა იქონია, როგორც სერვისში ჩართულ ბავშვებსა და მოზარდებზე, ასევე მათ ოჯახებზე. მშობლებს გაუჩნდათ მეტი მოტივაცია თერაპიულ პროცესებში ჩართვისა და იმისა, რომ დამოუკიდებლად კეთების საშუალება მისცენ თავიანთ შვილებს ყოველდღიური, ცხოვრებისეული აქტივობების შესრულებისას.



კვების თერაპია და საკვებით თამაშის მნიშვნელობა ადრეულ ასაკში

ადრეულ ასაკში კვებით დაკავშირებული სირთულეები ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გამოწვევად რჩება როგორც ტიპური განვითარების, ასევე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში. საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ სიცოცხლის პირველ წლებში, ბავშვების თითქმის 53% სხვადასხვა ტიპის კვებით სირთულეს განიცდის.

ბავშვებში კვებითი სირთულეები გამოხატულია შემდეგნაირად: გახანგრძლივებული კვების პროცესი, საკვების უარყოფა, ჩაშლილი და სტრესული კვების პროცესი, დამოუკიდებელი კვების არ ქონა, ყურადღების გამფანტველი ქმედებების ან საგნების ჩართულობა საკვების მიღების ხელშესაწყობად. კვებითი სირთულეები გავლენას ახდენს, დამოუკიდებლობაზე და ფუნქციურობაზე. Ledford and Gast 2006-ის კვლევის მიხედვით, კვებითი სირთულეების დაახლოებით 25%-30% ვლინდება ტიპური განვითარების მქონე ბავშვებში, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში კი სიხშირე იზრდება 40% დან -80% მდე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებში მაჩვენებელი 90% -ს უტოლდება.

კვების თერაპია „პირველ ნაბიჯში“

„პირველი ნაბიჯი“ იყო ერთ-ე რთი პირველი ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც კვების თერაპიის მიმართ სისტემური მიდგომა დანერგა.

2016 წლიდან ორგანიზაციამ დაიწყო: ლიტერატურის თარგმნა, ქართული მასალის ადაპტაცია, ინტერვენციის განხორციელება გუნდური ჩართულობით, რომელშიც შედიან განვითარების პედიატრი, ენისა და მეტყველების სპეციალისტები, ოკუპაციური თერაპევტები და ფსიქოლოგები, ასევე ადრეული განვითარების სპეციალისტები. “პირველი ნაბიჯის” ორგანიზებით, განხორციელდა ტრენინგები სპეციალისტებისთვის, როგორც თეორიული ცოდნის



მისაღებად, ასევე პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად. ორგანიზაციის და სპეციალისტების ძალისხმევამ, კვებითი სირთულეების მართვა აქცია მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სტანდარტად, რომელიც მუდმივად ვითარდება და ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებებს.

კვების თერაპიის სერვისი მოიცავს: შეფასებას, ორალ-მოტორული უნარების განვითარებას, საკვების მიმღებლობას, საკვებით თამაშზე დაფუძნებულ მიდგომას, გარემოს მოწესრიგებას და მშობლის ჩართულობას.

კვების თერაპიის პროცესში ბავშვებთან მუშაობს გუნდი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განვითარების პედიატრს, რომელიც მართავს სამედიცინო მდგომარეობას. შეფასების და შემდგომში თერაპიის განხორციელების პროცესში კი მნიშვნელოვანი როლი აქვთ ენისა და მეტყველების თერაპევტებს, ოკუპაციურ თერაპევტებს, ადრეული განვითარების სპეციალისტებსა და ფსიქოლოგებს. რომელთაც ყოველთვის მიზანი ერთი აქვთ, ხელი შეუწყონ ბავშვის კვების უნარების და გარემოს მოწესრიგებას, იმისთვის, რომ კვება გახდეს, უსაფრთხო და სასიამოვნო პროცესი, ბავშვებმა მიიღონ ზრდა-განვითარებისთვის საჭირო რაციონი, საკუთარი სურვილით და მოტივაციით. ინტერვენცია დაფუძნებულია ბავშვის უნარებსა და ემოციურ მდგომარეობაზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა პროგრამამ შექმნა საფუძველი პროფესიონალური განათლებისთვის, ხოლო „პირველი ნაბიჯის“ კლინიკურმა გამოცდილებამ – სტანდარტიზებული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სერვისი, რომელსაც ახორციელებს თბილისსა და რუსთავში.

ლიტერატურა

Ernsperger, L., & Stegen-Hanson, M. (2004). *Just Take a Bite*. Toomey, K. (2010). *SOS Approach to Feeding*. American Speech-Language-Hearing Association (ASHA). Pediatric Feeding Guidelines. Reynolds, A., et al. (2019). Sensory-based feeding interventions. Montreal Children's Hospital – Pediatric Feeding Assessment Scale.

ჩვენი ფილიალები

„პირველი ნაბიჯის“ რუსთავის ფილიალი

რუსთავი
გურამიშვილის ქ. 13

www.firststep.ge

ზრუნვის ფორმულა

27 წლის მანძილზე, "პირველი ნაბიჯი საქართველო" თბილისში ყველაზე ხარისხიანი სერვისის მიმწოდებელი გახდა. როცა საქმე ბავშვის განვითარებას ეხება, პროფესიონალიზმი მანძილს არ ცნობს და რუსთავის ფილიალში მიმდინარე თერაპიული პროცესები ამის საუკეთესო დასტურია.

"პირდაპირი, კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული ზრუნვა" – ეს არის "პირველი ნაბიჯის" ხელწერა, რომელსაც რუსთავის ფილიალი იზიარებს და ერთგულად მიჰყვება.

რუსთავის ფილიალი 2017 წლიდან ფუნქციონირებს და ქალაქის ნაწილი გახდა. ამ 8 წლის განმავლობაში, ჩვენი მიზანი არასოდეს შეცვლილა: შეგვექმნა სივრცე, სადაც ბავშვის განვითარებაზე მუშაობა უმაღლესი სტანდარტით ხორციელდება.

ქცევითი, სენსორული, მეტყველების, დენვერის და აკადემიური

ზრუნვის ფორმულა არის ჩვენი საიმედო საყრდენი,...



თერაპიები, ფსიქოთერაპია, ფლორთაიმი, ადრეული განვითარებისა და ADHD პროგრამები ემსახურება ბავშვებს. 30-მდე სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტი, 300-მდე ბავშვი და მათი ოჯახები ყოველდღიურად ზრუნავენ ერთმანეთის მხარდაჭერაზე.

ჩვენ ვართ გუნდი, რომლის წევრებიც პატივს სცემენ, იცავენ და ზრუნავენ ერთმანეთზე – რადგან ვიცით, რომ ჩვენი ურთიერთდახმარება პირდაპირ აისახება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გუნდი, როგორც კარგად აწყობილი, ზუსტი მექანიზმი ისე მუშაობს.

ხშირად უთქვამთ, რომ რთულია ჩვენი საქმიანობა, თუმცა პასუხი ამაზე ასეთი გვაქვს: ბავშვებთან კომუნიკაციას და მათ კეთილდღეობაზე გუნდურად ზრუნვას რომ დავუმატოთ სპეციალისტებს შორის ურთიერთგაგება და ერთმანეთზე ზრუნვა, აუცილებლად მივიღებთ ბავშვების და მათი ოჯახების დიდ თუ მცირე წარმატებებს, რაც საბოლოო ჯამში ყველას წარმატებაა – ეს გვამოძრავებს და გვაძლევს ყოველდღიურ მოტივაციას. სწორედ ამაშია ჩვენი წინსვლის და განვითარების ფორმულა.

“როგორ უძლებთ ასეთ რთულ საქმეს?”ამაზე პასუხი ცხადი ხდება მაშინ როცა: სესიის შემდეგ, სპეციალისტი გაგვიზიარებს ბავშვის ნათქვამს: *“ნეტავ, შენ იყო ჩემი მასწავლებელი, შენთან მოსვლის დღე ჰომ თენდება, ბედნიერი ვარ”*, ან მშობლის მადლიერ ნათქვამს: *“ბავშვი აქედან ჰომ გავიდა, თავი უფრო მაღლა ასწია”*, ან *“ჩემი შვილის მეოხე დედა ხარ”*, ან *“აქ ჰომ შემოვდივარ ყველას სახე უნათებს”* – ეს ყველას საერთო სიხარული და წარმატებაა. სწორედ ამიტომ ვართ აქ – ეს არის ბავშვების მიღწევებზე მუშაობა და შემდეგ ამ მიღწევებით ტკბობა.

ზრუნვის ფორმულა არის ჩვენი საიმედო საყრდენი, რომელიც გვეხმარება ყოველდღიურად გადავდგათ ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ – ბავშვებისთვის, მათი ოჯახებისთვის, ჩვენთვის, ჩვენი ორგანიზაციისა და ქალაქისთვის.

„პირველი ნაბიჯის“ ისნის ფილიალი

თბილისი
რუსუდან მიქელაძის ქ. 13

www.firststep.ge

“პრაქტიკული გადაწყვეტილების ეფექტური შედეგები”

„პირველი ნაბიჯის“ ისნის ფილიალი 2019 წლიდან ფუნქციონირებს. ქალაქის ამ ნაწილში, “პირველი ნაბიჯი” იყო პირველი ამ ტიპის ორგანიზაცია და დაფუძნებისთანავე, იანვრის თვიდან, მომართვიანობაც საკმაოდ მაღალი იყო.

თავდაპირველად, ცენტრი სულ ორ სამუშაო ოთახს მოიცავდა, რომელშიც დიღმის ფილიალიდან გადმოსული ოთხი თანამშრომელი მუშაობდა. (1 მეტყველების თერაპევტი, 2 ქცევითი თერაპევტი და 1 ქცევითი თერაპიის სუპერვიზორი). ახლა კი, ისნის ფილიალი 13 სამუშაო სივრცეს მოიცავს, სადაც 34 თანამშრომელი მუშაობს და ემსახურება 120-მდე ბენეფიციარს.

ჩვენი ცენტრი ეტაპობრივად ვითარდებოდა და ამ დროის განმავ-

ლობაში, მან შეიძინა მეტი ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა. „პირველი ნაბიჯის" ისნის ფილიალში სხვადასხვა მიმართულების შეფასებები, ტრენინგები და კონსულტაციები ხორციელდება.

> ჩვენი გუნდის წარმატება ემყარება ორგანიზაციაში არსებულ საერთო ღირებულებებს: მიზნისადმი ერთგულებას, პროფესიონალიზმსა და თანამშრომლობის კულტურას.

ჩვენი ფილიალიც აგრძელებს პირველი ნაბიჯის საუკეთესო ტრადიციებს და საქმეს უდგება დიდი სიყვარულით და პროფესიონალიზმით. ჩვენ გვჯერა, რომ თითოეული პატარა ნაბიჯი მნიშვნელოვანია დიდი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი მიზანია, ყველა ბავშვმა თავი იგრძნოს ბედნიერად, უსაფრთხოდ და შეძლოს საკუთარი თავის გამოხატვა. გვწამს, რომ თითოეულ ბავშვს შეუძლია პროგრესის მიღწევა – მხარდამჭერ გარემოში, სადაც პატივს სცემენ მის პიროვნებასა და ინდივიდუალურობას.

ჩვენი გუნდის წარმატება ემყარება ორგანიზაციაში არსებულ საერთო ღირებულებებს: მიზნისადმი ერთგულებას, პროფესიონალიზმსა და თანამშრომლობის კულტურას. ყოველი წევრი წარმოადგენს გუნდის ძალას, ხოლო ერთიანობა მთავარი უპირატესობაა.

რა არის ჩვენი გუნდის, როგორც "პირველი ნაბიჯის" ნაწილის ძლიერი მხარე?

პროფესიონალიზმი	მაღალი კომპეტენცია, პასუხისმგებლიანი მიდგომა.
ინოვაციური აზროვნება	ახალი იდეებისა და მეთოდების მუდმივი ძიება.
წარმატებული ქეისები	რეალური შედეგებით გამყარებული გამოცდილება, რომელიც აძლიერებს სანდოობასა და რეპუტაციას.
ეფექტური კომუნიკაცია	გამჭვირვალე, მხარდაჭერით სავსე და შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა.
მოტივაცია და ერთიანი მიზანი	საერთო ხედვა, ენთუზიაზმი და წარმატებაზე მუდმივი ფოკუსი.

ისნის ფილიალი მუდმივად ვითარდება, ყოველი დღე ახალი შესაძლებლობაა, გავაუმჯობესოთ ჩვენი პროცესები და გავუზიაროთ მხარდაჭერა საჭიროების მქონე ბავშვებს, მშობლებს. თითოეული შემთხვევა შესაძლებლობას გვაძლევს, მივიღოთ შედეგები და შევქმნათ რეალური ცვლილება მათ ცხოვრებაში. ჩვენი მიზანია, ყოველი ნაბიჯი იყოს წამოწყება, რომელიც ბავშვებისთვის უკეთეს მომავალს ქმნის.

მხარდამჭერები პარტნიორები სპონსორები სტუმრები



2023-2025 წელს არაერთი ახალი მეგობარი შევიძინეთ, ზოგთანაც, გავაგრძელეთ მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები. მადლობა, ჩვენს მხარდამჭერებს!

- აგროჰაბი
- „ახალი სკოლა“ ბაგებში
- ბეკო
- BGI Legal
- ბიბლუსი
- ბლუ ტაბლა
- დიო
- Deloitte & Touche
- ეკოვუდი
- ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- ერსტენ იანგი E&Y
- ფარმადეპო
- ფინეთის საუნივერსიტეტო დელეგაცია
- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
- ფოქსი ელენიკო
- ფრესკო
- გერმანიის საელჩო
- გუდვილი
- ჰანიველი/თბილისი მარათონი 2025
- ირინე გაბრიაძე
- ისურვე.ჯი
- იოლო
- კაპაროლი
- კოკა-კოლა
- ლაფარჟი

ლემონსი

ლიანა ჯოჯუა

ლილი ვანილა - სმარტ კაპიტალ ჯგუფი

ლუტეცია

მადარტი

მაკდონალდსი

მალდივების რესპუბლიკის

მამუკა ხაზარაძის ფონდი

მელომე

მე-4 საჯარო სკოლა

ორიფლეიმი

PMCG

QSI თბილისის საერთაშორისო სკოლა

RMG

რეზო არველაძე

რუსთავის აზოტის ქარხანა

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

სამთავრობო დელეგაცია

სანდომი

სანტე

სარაჯიშვილი

სარაგბო კლუბი „იუნკერები“

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს რაგბის კავშირი

სლოვაკეთის საელჩო

სნო

სოკარ მიდსტრიმი

სომხეთის სამთავრობო დელეგაცია

სფეისი

თეგეტა

თბილი სახლი

თოლია

ტკბილი ქვეყანა

UNDP

USAID

უზბეკეთის სამთავრობო დელეგაცია

წყალი მთის

World Vision

წისქვილი ჯგუფი

ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველო (IWAG)

ქამილ მატა

“ქონსორთ ჯორჯია”

შვეიცარიის საელჩო

ჯეოსეიფთი

„თიბისი ბანკის“ ტექნოლოგიების დეპარტამენტი

მხარდაჭერის შესაძლებლობები

“პირველი ნაბიჯი” მეგობრების თანადგომით არსებობს და ფუნქციონირებს. ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ ის ხარისხი, რაც გვაქვს და მუდმივად განვავითაროთ ორგანიზაცია, რომ ჩვენი სერვისი შეესაბამებოდეს თანამედროვე ადამიანის მოთხოვნებს და მოვახერხოთ, რომ მეტ ბავშვსა და მოზარდს გავუწიოთ კვალიფიციური დახმარება.

ამიტომ, ნებისმიერი სახის ფინანსური თუ პროგრამული საჭიროებების თვალსაზრისით მხარდაჭერა ჩვენთვის ფასდაუდებელ სიკეთეს წარმოადგენს.

სტიპენდიის პროგრამა

სტიპენდიის პროგრამა 2015 წლიდან არსებობს და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღის ცენტრისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს უზრუნველყოფს ვაუჩერით, აღნიშნული თანხის ოდენობა მხოლოდ 40%-ს ფარავს. დანარჩენი თანხა კი ორგანიზაციისათვის მუდმივად მოსაძიებელია. სწორედ აქედან გამომდინარე, დაინერგა აღნიშნული პროგრამა, რაც გულისხმობს ბავშვების ყოველთვიური სტიპენდიით უზრუნველყოფას. სპონსორი შეიძლება იყოს მეგობართა წრე, კოლეგების ჯგუფი, კომპანია ან თუნდაც ინდივიდი - ერთი ადამიანი.

სტიპენდიით იფარება შემდეგი მომსახურებები:

- საგანმანათლებლო აქტივობა;
- ტრანსპორტირება;
- ორჯერადი კვება;
- სხვადასხვა წრეებში ჩართულობა.

პირველი ნაბიჯის დირექტორი	თამარ ზაალიშვილი
პირველი ნაბიჯის დამფუძნებლები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	ჯეინ ენ ქორბოი ნინო ქადაგიძე - ჟვანია თაკო მეგრელიშვილი ნატო ალხაზიშვილი გიორგი ბაზღაძე რუსლან ხოროშვილი შარლოტ ემბორგი ნინო კიკნაძე გიორგი ახალაია ლადო კანდელაკი
დასახელება	ააიპ პირველი ნაბიჯი საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი	202061838
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.150
ფაქტიური მისამართი:	ქ. თბილისი, ლუბლიანას 21ბ
ტელეფონი:	+995 32 2 603 604 / +995 32 2 603 624
საბანკო რეკვიზიტები:	ბანკი: TBC BANK / TBCBGE22 ა/ა GE56TB0610636080100008 (GEL) GE52TB0600000033070511 (USD)

ორგანიზაციას აქვს
საქველმოქმედო სტატუსი

TEAM MASTER
EST-85
VARSITY

TEAM MASTER
EST-85